მეწარმეობის სწავლების პრობლემა, როგორც ციფრული ეპოქის გამოწვევა

DOI:10.36962/ECS105/1-2/2023-47

მერაბ მიქელაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ პროფესორი m.mikelashvili@gtu.ge

რეზიუმე

დღეს უნივერსიტეტი მთლიანობაში ასრულებს ფუნდამენტური ცოდნის გენერირებისა და ტრანსლაციის, ხოლო ბიზნესი - ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ამოცანას. პარტნიორობა, რომელიც მიმართულია ახალი ცოდნის ერთობლივი ძიებისკენ, საბოლოოდ იწვევს აღმოჩენებს, რომლებიც სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის.

ნებისმიერი უნივერსიტეტის ამოცანაა მოამზადოს სტუდენტი მომავალი კარიერისთვის. თანამედროვე უნივერსიტეტის მიზნები არ შეიძლება შემოიფარგლოს სამეცნიერო საქმიანობით და კომპეტენტური, მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებით. უნივერსიტეტებს, ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერით, აქვთ ყველა შანსი, გახდნენ ინოვაციური სამეწარმეო აზროვნების ფორმირების ცენტრი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის დაჩქარებულ ზრდას.

დღესდღეობით აღიარებულია, რომ მეწარმეობის მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი შედეგია სტუდენტის/კურსდამთავრებულის სამეწარმეო აზროვნების განვითარება, მეწარმეობის კულტურის დანერგვა, ქცევის ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო უნარების ფორმირება.

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობა, მეწარმეობის სწავლება,

სამეწარმეო აზროვნება, სამეწარმეო განათლება, სამეწარმეო უნარები.

ძირითადი ტექსტი

ბოლო პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურასა და ექსპერტთა წრეებში სულ უფრო ხშირად განიხილება ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების შესაძლო ახალი წყაროები. ამ დისკუსიებში წინა პლანზე დგება პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმიზაციის ამოცანა, მათ შორის ინოვაციურ, სამეწარმეო საქმიანობაში. ეკონომიკასა და საზოგადოებას სჭირდება ტექნოლოგიური მეწარმეებისა და ლიდერების მასიური ნაკადი. განათლების სისტემისთვის ეს აყალიბებს ამოცანას, მოამზადოს ადამიანები საინიციატივო მოქმედებებისთვის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში.

მსოფლიო აცნობიერებს, რომ ტექნოლოგიური ინოვაციები ახალ ზრდას არ იწვევს. დისკუსია ამ სიტუაციის მიზეზებზე თანამედროვე ლიტერატურის მნიშვნელოვან მდგენელს წარმოადგენს. პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი არის ის, რომ ხდება ადგილობრივი-ლოკალური ოპტიმიზაცია (ამასთან მხოლოდ ვიწრო უმცირესობის ინტერესებში), მაგრამ არა ახალი ღირებულების/ახალი ბაზრების შექმნა, ეკონომიკის გაფართოება, რომელიც ყველას ინტერესებშია [1] პასუხის სხვა ვარიანტი გულისხმობს უნარებისა და კომპეტენციების ფუნდამენტურ დეფიციტს, რომელიც აუცილებელია ციფრული ეკონომიკის პირობებში ეფექტური მოქმედებისთვის და მოითხოვს, კერძოდ, რუტინულ შრომას. [2] მესამე - გამომდინარეობს ინსტიტუტების არასაკმარისი ხარისხის წინაპირობიდან, რაც აფერხებს ბაზრების ტრანსფორმაციას.[3]

ეკონომიკასა და საზოგადოებას სჭირდება ადამიანები, რომლებიც მზად არიან აიღონ თავის თავზე რისკები მზარდი გაურკვევლობის პირობებში. ეს სიტუაცია მოითხოვს ტექნოლოგიური მეწარმეებისა და ლიდერების მასიურ ნაკადს, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ გრძელვადიან რისკებს. განათლების სისტემის წინაშე ყალიბდება ამოცანა, მოამზადოს უფრო ფსი-

ქოლოგიურად „მომწიფებული“ ადამიანები, რომლებსაც ექნებათ პროაქტიული მოქმედების უნარი ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში.

სწორედ ამ გამოწვევის დასაძლევადაა აუცილებელი მეწარმეობის სწავლების პრობლემის შესწავლა და მისი სრულყოფისათვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება. მეწარმეობის მხარდაჭერის ეკოსისტემაში უმაღლესი განათლება არ არის ერთადერთი ფაქტორი. სხვა ფაქტორებს მიეკუთვნება არსებული ინფრასტრუქტურის მახასიათებლები, ინსტიტუციონალური რეგულირება, ეგრეთ წოდებული life-long learning და სხვა.

წარმატებული მეწარმე ხასიათდება არარუტინული საქმიანობით, ახალი ბაზრების, საქმიანობის ახალი სახეებისა და სამუშაო ადგილების შექმნით (როგორც წესი, წარმატებული მეწარმე ყოველთვის ქმნის მინიმუმ ერთ სამუშაოს - საკუთარს). ეს სურათი, რომელიც დომინირებს თანამედროვე ლიტერატურაში, წარმოაჩენს მეწარმეს, როგორც აქტიურ სუბიექტს. ასეთი პოზიცია ასევე აახლოებს მეწარმის პოზიციას ფრილანსერისა და თვითდასაქმებულის პოზიციასთან, რაც თანამედროვე ეკონომიკაში „მეწარმეობის“ მოთხოვნას მასობრივად და არა ერთჯერადად აქცევს.

უმაღლესი განათლების სისტემას მრავალი თვალსაზრისით შეუძლია წვლილი შეიტანოს მეწარმეობის განვითარებაში. ეს შეიძლება იყოს ფუნდამენტური კვლევა, R&D (კვლევა და განვითარება) და კომპანიების შექმნა უნივერსიტეტის თანამშრომლების ან უშუალოდ უნივერსიტეტის (შვილობილი კომპანიების) მიერ, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა ინვესტორების მოსაზიდად და მრავალი სხვა.

ამასთან, როგორც ეროვნულ დონეზე (უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის მართვა), ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით (კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლები), მეწარმეობის მხარდაჭერის ყველაზე მასობრივი და ყველაზე განხილვადი ინსტრუმენტია პროფილური სასწავლო პროგრამები, კურსები, მოდულები. შემთხვევითი არ არის, რომ 2003 წლიდან

მიმდინარეობს კვლევა GUESSS (Global University Entrepreneurial Spirit Students' Survey), რომელიც სენტ გალენის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ლოკალური ინიციატივიდან, გადაიქცა მასშტაბურ პროექტად, რომელიც მოიცავს 50-ე მეტ ქვეყანას და 100 ათასზე მეტ რესპონდენტს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებული გამოკითხვების დროს.[4] GUESSS მონაცემებით, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი უნივერსიტეტში სწავლის დროს ესწრებოდა მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებულ ერთ კურსს მაინც.

როგორც კვლევის მასალები ცხადყოფს, ქვეყნები დიდ დროსა და რესურსებს დებენ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მეწარმეობის სწავლების პროცესში. ამასთან, როგორც კვლევები აჩვენებს[5], ამ სფეროში მსოფლიო გამოცდილება რჩება ფრაგმენტული, არასისტემატიზირებული როგორც სწავლების შინაარსის, ასევე სწავლების შედეგების თვალსაზრისით. აღსანიშნავია უნარების, როგორც მეწარმეობის სწავლების შედეგების, ობიექტური მონაცემების არასაკმარისი დამუშავების პრობლემა. უმრავლეს შემთხვევაში, მეწარმეობის სწავლების მთავარ შედეგად და ინდიკატორად მიჩნეულია პიროვნების მიერ საკუთარი ბიზნესის გახსნის სურვილი. ამავე დროს, პიროვნების კონკრეტული კომპეტენციების შეფასების პრაქტიკა ნაკლებად გვხვდება

მეწარმეობის სწავლების პრობლემატიკასთან დაკავშირებით არსებობს ორი ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული დისკურსი:

- ***ეს არის დისკუსია მეწარმეობის სწავლების შესახებ ვიწრო გაგებით, ანუ როგორ უნდა მოვახერხოთ სტუდენტების მიერ სტარტაპების შექმნა.***

დღემდე არ არსებობს კონსენსუსი იმაზე, თუ რა პირობები უნდა არსებობდეს უნივერსიტეტში, რათა მან ეფექტურად მოამზადოს მომავალი მეწარმეები. უნივერსიტეტის . უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგის ძირითადი სისტემები (*Times Higher Education — THE; Quacquarelli Symonds — QS*) პრაქტიკულად სრულიად აიგნონირებენ მეწარმეობის სწავლებას. ეს

რეიტინგები აგებულია, როგორც წესი მენეჯმენტის წევრების გამოკითხვებზე და არა მეწარმეობის სწავლების ეფექტიანობის ობიექტურ მონაცემებზე. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ-ს უნივერსიტეტების ყოველწლიური მონიტორინგი, რომელსაც ატარებს ავტორიტეტული *Princeton Review*, და რომელიც ეფუძნება კითხვარს იმის შესახებ, თუ რას აკეთებს უნივერსიტეტი მეწარმეობის სწავლების მიმართულებით. [6]

- ***დისკუსია უმაღლესი სასწავლებლების „მესამე მისიის" შესახებ, ანუ იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს უნივერსიტეტი სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას ტრადიციული კვლევისა და შრომის ბაზრისთვის კადრების მომზადების ფორმატს მიღმა.***

ეს დისკურსი მოიცავს მრავალმხრივი კვლევების ფართო სპექტრს, რომლის ცენტრშია „მესამე მისიის" ყველა მონაწილე: უნივერსიტეტის მენეჯმენტი, პროფესორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები. „მესამე მისიის" ეფექტებს შორის განიხილება მეწარმეობაც (თუმცა არა მარტო სტუდენტური, არამედ აკადემიურიც). აღნიშნული ეფექტების მიღწევის ინსტრუმენტებად ანალიზდება აგრეთვე სტუდენტების სამეწარმეო განათლება.

მნიშვნელოვანია, რომ ამ დისკურსში შეიმჩნევა ტენდენცია, განიხილოს „სამეწარმეო უნივერსიტეტი", როგორც „უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს მესამე მისიას".[7]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მეწარმეობის" მასობრივი სწავლება, როგორც „სამეწარმეო" ქცევა ეკონომიკაში, შესაძლოა გადავიდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ამოცანების ცენტრში.

საქართველოში არცთუ ისე ბევრია სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებული კურსები, შესაბამისად რთულია საუბარი ამ მიმართულებით მდგრად წარმატებაზე, რადგან უნივერსიტეტებში მეწარმეობასთან დაკავშირებული პროგრამებისა და კურსების სიმწირე თვალშისაცემია. საქართველო მკვეთრად ჩამორჩება GUESSS კვლევების მიხედვით ქვეყნების უმრავლესობას იმ სტუდენტთა ხვედრითი წილის ოდენობით, რომელთაც

გავლილი აქვთ მეწარმეობასთან დაკავშირებული კურსები.

მსოფლიოში აქტიურად ვითარდება უნივერსიტეტებში სამეწარმეო სწავლების კვლევა [8], კვლევის ფორმატში ხდება უმაღლესი განათლების საფეხურზე სასწავლო პროგრამების შინაარსისა და მეწარმეობის სწავლების მეთოდების ანალიზი[9], მეწარმეობის სწავლების კონკრეტული სასწავლო პროგრამების განხორციელების შედეგების ანალიზი[10]. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ეტაპზე პროგრამების განხორციელების შედეგების შეფასების მიდგომები მეთოდოლოგიურად სუსტია [11]

კვლევების უმრავლესობაში ვხვდებით მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ აუცილებელია მეწარმეობის სწავლების უწყვეტი მონიტორინგი, რადგან ციფრულ ეპოქაში იცვლება მეწარმეობის შინაარსი და ბაზარი განუხრელად იზრდება. მიდგომებისა და კეისების ჯერ კიდევ არასისტემატიზირებული მრავალფეროვნება, ხსნის სწავლების წარმატებული პრაქტიკისა და მათი უნივერსიტეტებში დანერგვის პერსპექტივებს ლოკალური, დარგობრივი და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით[12, 13]

დღესდღეობით ექსპერიმენტული კვლევების ნაკლებობაა. არსებობს მხოლოდ რამდენიმე კვლევა, რომელიც თვალყურს ადევნებს პროგრამების კურსდამთავრებულებს, რათა ნახონ, გახდებიან თუ არა ისინი ბიზნესის მფლობელები თუნდაც საშუალოვადიან პერსპექტივაში.[14]

გარდა ამისა, შედარებით ცოტა არის ცნობილი სწავლების ეფექტური მიდგომების შესახებ. ასევე ნაკლებად არის ცნობილი, თუ როგორ უწყობს ხელს კონკრეტული სასწავლო პროგრამების ან სწავლების სტრატეგიების შინაარსი უნარების განვითარებას, რომლებიც ხელს უწყობენ მეწარმეობას.

ამრიგად, უმაღლეს სასწავლებლებში მეწარმეობის სწავლება არის სფერო, რომელზეც ერთის მხრივ ბევრს (და სულ უფრო მეტს) წერენ სამეცნიერო წყაროებში, ხოლო მეორეს მხრივ, სადაც სულ უფრო და უფრო მეტი უცნობი მდგენელია და უკვე დაგროვილი გამოცდილების სისტემატიზაცია არასაკმარისია.

დასკვნა

კვლევამ შესაძლებელი უნდა გახადოს უნივერსიტეტებში სამეწარმეო განათლების გაუმჯობესების რიგი ძირითადი მიმართულებების გამოვლენა.

ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია:

● მომავალი სასწავლო კურსის კონტენტის ვარიაციის შემუშავება უმაღლესი სასწავლებლის დარგობრივი სპეციალიზაციის და სტუდენტების კონტიგენტის მოთხოვნის, მოტივაციის, არსებული გამოცდილების გათვალისწინებით. კერძოდ, უნდა შემუშავდეს კეისების მოდული, რომელიც შეესაბამება სტუდენტების სხვადასხვა აუდიტორიის მახასიათებლებს. აღნიშნული კეისები უნდა შეესაბამებოდეს იმ გარე გარემოსა და პარტნიორების მახასიათებლებს, რომლებთანაც დაიგეგმება კურსის განხორციელების პროცესში კონტაქტი;

● მეწარმეობის კურსზე სწავლის შედეგების მკაფიო მოთხოვნების ჩამოყალიბება იმ უნარ-ჩვევების კუთხით, რომლებსაც სტუდენტები ეუფლებიან მსოფლიო გამოცდილების ანალიზის გათვალისწინებით . რეკომენდებულია უნარების სხვადასხვა კომბინაციების მიწოდება, როგორც მიზნობრივი სწავლის შედეგები,სტუდენტების სხვადასხვა სამიზნე პროფილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინსტრუმენტების უზრუნველყოფა შესაბამისი უნარების შეძენის მონიტორინგისთვის;

● სასწავლო კურსის განსახორციელებლად უნდა შეირჩეს მასწავლებლები, რომლებიც საკუთარი პრაქტიკის საფუძველზე კარგად იცნობენ ბიზნესის სამყაროს-ან აქვთ პრაქტიკული გამოცდილება ან მინიმუმ, ბევრს კითხულობენ ბიზნესის შესახებ. ასევე ფლობენ სხვა ნიშნებს, რომლებიც ზრდის წარმატების შანსებს -მაღალი თვითშეფასება, მენტორის როლისთვის მზადყოფნა, გარე ბიზნეს გარემოსთან კავშირი და ა.შ.;

● უზრუნველყოფილი იქნას პედაგოგებისთვის მეწარმეობის სწავლების პროცესში პედაგოგიური პრაქტიკისა და მეთოდების გამოყენების პირობები, რომელთა ეფექტურობა დასტურდება მსოფლიო გამოცდილებით და კვლევის შედეგებით;

● მეწარმეობის კურსი გახდეს არჩევითი საგანი ნებისმიერი

ფაკულტეტის ნებისმიერი სტუდენტისთვის, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში შეისწავლის აღნიშნულ კურსს;

- კურსის განხორციელება მოხდება ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბაზაზე, რომლისთვისაც აღნიშნული აქტივობა იქნება კომერციული პროექტი.

REFERENCES

1. De Loecker J., Eeckhout J. (2017). The Rise of Market Power and the Macroeconomic Implications.NBERWorkingPaper https://www.nber.org/system/files/working_papers/w23687/w23687.pdf

2. https://academic.oup.com/qje/articleabstract/118/4/1279/1925105?redirectedFrom=fulltext

3. Brynjolfsson E., Rock D., Syverson C. (2019). Artificial Intelligence and the Modern Productivity Paradox https://www.nber.org/system/files/working_papers/w24001/w24001.pdf

4. https://www.guesssurvey.org/resources/PDF_InterReports/GUESSS_2021_Global_Report.pdf

5. Nabi G., Liñán F., Fayolle A., Krueger N., Walmsley A. (2017). The impact of entrepreneurship education in higher education: A systematic review and research agenda https://core.ac.uk/download/pdf/96648372.pdf

6. https://www.princetonreview.com/business-school-rankings?rankings=best-online-mba-programs

7. Baaken T Developing Engaged and Entrepreneurial Universities : Theories, Concepts and Empirical Findings, 2019

8. https://www.researchgate.net/publication/307864602_Public_Policy_for_Academic_Entrepreneurship_A_Review_and_Critical_Discussion

9. https://www.tandfonline.com/doi/epdf/10.1080/23311975.2015.1052034?needAccess=true&role=button

10. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042815055652

11. https://www.researchgate.net/publication/263761516_A_critical_review_of_the_effects_of_entrepreneurship_training_in_developing_countries

12. https://www.researchgate.net/publication/260532516_The_Relationship_Between_Entrepreneurship_Education_and_Entrepreneurial_Intentions_A_Meta-Analytic_Review

13. https://researchrepository.ucd.ie/entities/publication/548a65aa-96d2-4ec1-be5f-de9f9442e9be/details

14. https://www.researchgate.net/publication/228971736_Entrepreneurship_Education_Notes_on_an_Ongoing_Debate

TEACHING ENTREPRENEURSHIP, AS A CHALLENGE OF THE DIGITAL ERA

Merab Mikelashvili
Academic Doctor of Economics, Professor
at Tbilisi Technical University,
m.mikelashvili@gtu.ge

RESUME

Nowadays, universities in general generate and transfer fundamental knowledge, when businesses have necessities to use this theoretical knowledge in practice. Partnerships, that are directected towards gaining new knowledge, create new discoveries, which are useful for the whole society. Every university has a mission to prepare every student for the future career. The goals of the modern universities cannot be limited to scientific work and creating competent, desired specialists. Universities, by the support of the business initiatives, have all the chances to become centers of the entrepreneurial thinking, which, in long term, accelerates the well-being of the social and economic states. It is openly admitted, that the main outcome of the entrepreneurial support for the student/alumni is the development of entrepreneurial thinking, entrepreneurial culture, formation of the entrepreneurial skills under behavioral economics.

Keywords: Entrepreneurship, teaching entrepreneurship, entrepreneurial thinking, entrepreneurial education, entrepreneurial skills.